№ 118 თიბათვე 9, პარასკევი 1889 თიბათვე 9, პარასკევი № 118


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ,,ივ. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 8 თიბათვე

როგორც მოგეხსენებათ, სამეურნეო საზოგადოება ჰმართავს წელს ტფილისში სამეურნეო და სამრეწველო გამოფენას. ბევრს უცხოელს, რუსეთისა და იმიერ-კავკასიის მეურნესა და მრეწველს გამოუცხადებია, რომ გამოფენაში მონაწილეობას მივიღებთო. ეს იმის საბუთია, რომ გამოფენა კარგი და ვრცელი იქნება და საყოველთაო ყურადღებასაც დაიმსახურებს, რადგანაც აქ საკუთარის თვალითა ჰნახავს ადამიანი როგორც კავკასიის ნაწარმოებს, ისე უცხოეთისას და შეიგნებს ერთისა და მეორის ავ-კარგიანობას.

ამ ჟამად დიდი მუშაობაა, რათა კარგად მოაწყონ შენობა და ადგილი გამოფენისათვის. გამოფენას ჰყავს გამგე კომიტეტი, რომელსაც ემორჩილება ყველა ცალკე კომიტეტი და კომისია. ამას გარდა არის აღმასრულებელი კომიტეტი. უფროსი კომისარი გამოფენისა არის ინჟენერ-ტეხნოლოგი ა. ბახმეტიევი, რომელიც უნიშნავს მრეწველთა და მეურნეთ ადგილებს და რომელსაც საქმე აქვს გამომფენლებთან. რამდენიც გუბერნია და მაზრაა კავკასიაში, იმდენი განყოფილება იქნება შენობასა და მოედანზე. თითო განყოფილებას ეყოლება თავისი კომიტეტი. ამ კომიტეტის თავმჯდომარეებად იქნებიან გუბერნატორები. ეს კომიტეტები უკვე მოქმედებენ და იმათგან კარგი ამბები მოდის ყარსისა და თერგის მაზრებიდგან, ბაქოსა, განჯისა და ტფილისის გუბერნიებიდგან და სხვა ადგილებიდგანაც. ზოგს ამერიკელს, ინგლისელს, გერმანელს, ფრანგსა და ბელგიელს გამოუცხადებია, რომ ჩვენ ჩვენს ნაწარმოებს გამოვგზავნით გამოსაფენადაო. ეხლა იმდენი მსურველია, რომ ადგილიც არა ჰყოფნის გამომფენელთათვის. ამიტომ აღმასრულებელმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა დაიქირაოს ბ-ნ ღლონთქიფანიძის მიწა, სადაც სამეურნეო იარაღების საცადი ადგილი იქნება.

კარგი სანახავია პავილიონები დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ბორჯომის მამულისა, ბაქოს ნავთის მრეწველთა, თავ. ზ. დ. ჯორჯაძისა და სხვათა. ერთის სიტყვით, როგორც სჩანს, გამოფენა ძალიან კარგად იქნება მოწყობილი, და სრული იმედია, რომ თავისს დანიშნულებასაც აღასრულებს. დღესვე იმდენი გამომფენელია, იმდენსა ზრუნავენ გამოფენისათვის და საზოგადოებაც ისე გულ-მოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს გამოფენის ამბავს, რომ იმედია გამოფენა მთელს თავისს ხარჯს აიღებს.

ვ—ი

## ახალი ამბავი

*** დღეს, პარასკევს, მომრიგებელ სასამართლოს მეორე განყოფილებაში გაირჩევა ერთი ახ რებული საქმე. ერთი ვინმე ზარგაროვი სჩივის, რომ ქ-ნმა გავრილოვისამ ჩემზე ძალ-მომრეობა იხმარა და სახლში დამამწყვდიაო. თურმე ქ-ნმა გავრილოვისამ იმ დღეს, როცა იმისი და ზარგაროვის საქმე უნდა გაერჩიათ სასამართლოში, ოთახი დაუკეტა ზარგაროვს, რათა იგი სასამართლოში არ გამოცხადებულიყო. დანიშნულს დროზე ზარგაროვი სასამართლოში უნდა წასულიყო და კარები დაკეტილი დახვდა. ზარგაროვმა ყვირილი შექნა თურმე და მეზობლებმა კარი გაუღეს. იგი საჩქაროდ გამოცხადდა სასამართლოში და უამბო მოსამართლეს, თუ რა დაჰმართა გავრილოვისამ.

*** გუშინ, დილის 4 საათზე, გავიდნენ ტფილისიდამ კადეტების კორპუსის შეგირდები სასოფლოდ და გაუდგნენ ფეხით მანგლისის გზას. კადეტები ისადილებენ თეთრს დუქანში სამადლოსთან, ღამეს გაათევენ პრიუტში და დღეს, ნაშუადღევს, მივლენ მანგლისში, სადაც დარჩებიან მთელს ზაფხულს.

*** ამ მოკლე ხანში ორჯელ, თითქმის ზედი-ზედ, იქნება კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი. ერთი კრება დანიშნულია დღეს, 9 ივნისს, და მეორე—12 ივნისს, ორშაბათს. ორსავე კრებაზე 16-მდე სხვა-და-სხვა საგანია განსახილველი. სხვათა შორის ამ საგნებში საყურადღებოა მოხსენება ქალაქის თავისა იმაზედ, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქის საქმეები, რომელიც სხვა-და-სხვა უმაღლესს დაწესებულებაშია დაწყებული. საყურადღებოა აგრეთვე მოხსენება სასანიტარო კომისიისა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა იქნას ხმარებული, რომ ტფილისი სადი ქალაქი იყოს.

*** პირველ ივნისიდგან დაწყებული მილის წყლიდგან ქალაქს ყოველ-დღიური შემოსავალი 190—200 მანეთამდე აქვს. ამდენი შემოსავალი მარტო კრანებიდგან აქვს, აბონენტებისა სხვა არის. ამ წლის პირველ იანვრიდგან პირველ ივნისამდე სულ შემოსულა 32,002 მან. და 99 კაპ აქედგან მარტო მაისის შემოსავალი 6,670 მან. და 97 კაპიკია.

*** გუშინ, 8 ამ თთვისას, კათოლიკეთა გადაიხადეს დღესასწაული „გული იესოსი“. ამ დღეს კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა. წირვის შემდეგ ეკკლესიის გარშემო ლიტანიით შემოიარეს.

*** 8 ამ თთვისას კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის კანცელარია გადაიდა საზაფხულოდ კოჯორში.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ გორში ბ ნ არ. კალანდაძის სტამბაში იბეჭდება ქართულად შუა საუკუნოებში დაწერილი თხზულება თომა კემპელისა: „მიბაძვა იესო ქრისტესი“. ეს თხზულება შესანიშნავ თხზულებად ითვლება მთელს ევროპაში და დაწერილია ლათინურად. ქართული თარგმანი პირდაპირ ლათინურიდამ არის გადმოღებული. ეს თხზულება ძველადაც უთარგმნიათ ქართველებს. სხვათა შორის „მიბაძვა იესო ქრისტესი“ უთარგმნია ქართულად მეთვრამეტე საუკუნეში ერთს გორელს მწიგნობარს, ტლუკაანთ დავითს, ტომით სომეხს.

*** ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს უპოვნია ერთი ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნების სია, ანუ კატალოგი. ეს ხელთ-ნაწერი კატალოგი დაბეჭდილისა და ხელთ-ნაწერის წიგნებისა შედგენილია მეთვრამეტე საუკუნის დამლევს შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტ გამალიელისაგან. კატალოგის დასაწყისი ასე იწყება „უწყება ქართულთა წიგნთა, რომელნიც ქრისტიანობის შემდგომ ვიდრე ჩვენთ დრომდის დაწერილან სხვათა და სხვათა პირთა მიერ“. ამ წიგნში ბევრი შესანიშნავი ხელთ-ნაწერი წიგნია მოხსენებული და სხვათა შორის აქ ხსენებულია, რომ „ვისრამიანი“ სთარგმნა დავით სათობაგოელმაო. ამ კატალოგის საშუალებით ძველ წიგნების მთარგმნელთა თუ დამწერთა სახელებს შევიტყობთ.

*** ოდესა: აქაურს სასულიერო სემინარიაში ექვსი ქართველი მოწაფე იყო, მაგრამ ამათგან დღეს ერთი-ღა იმყოფება. დანარჩენნი ავადმყოფობის გამო იძულებულნი შეიქმნენ ოდესა მიეტოვებინათ. ერთი მოწაფე, გვა-

---

# ფელეტონი

### აი ისტორია

(წერილი მეათე*)

წინა წერილიდამ ენახეთ როგორ მოიხმარა ჩვენმა ავტორმა Письма о Грузіи-ში ლინგვისტიკა და ფილოლოგია ქართველების ვინაობის, წარმომავლობის გამოსაცნობად და მათის წარმატების გამოსარკვევად. მერე ამბობს, რომ:

„Археологія и антропологія, служа подспорьемъ лингвистики, могли-бы съ своей стороны пролить, конечно, не малый свѣтъ на происхожденіе грузинъ, но въ этомъ отношеніи сдѣлано такъ мало, что не даетъ даже опоры для какихъ нибудь, хотя бы приблизительныхъ выводовъ“. (Сѣв. Вѣст., № 2, გვ. 60).

ხომ ამბობს, არქეოლოგია და ანტროპოლოგია, როგორც მშველელნი ლინგვისტიკისა და მხარის მიმცემნი, თავის მხრით ნათელს მოჰფენდნენ ქართველთა ვინაობის წარმომავლობასაო, მაგრამ ამ მხრით ასე ცოტა რამ არის აღმოჩენილი, რომ კაცს ხელთ ვერაფერი ჩაუგდია თუნდ დაახლოებით რაიმე დასკვნა გამოიყვანოსო.

რაც შეეხება ანტროპოლოგიას, ავტორი ამის საქმეს ორის სტრიქონით ათავებს: ბროკმა, რომელსაც ვითომ აქედამ გაუგზავნეს ორი თავის-სარქველი, გასინჯა და სთქვაო, რომ იგი ეკუთვნის კიმვრებსაო. ეს არის და ეს, სხვაგან ავტორი არც-კი ახსენებს ანტროპოლოგიას. ხოლო არქეოლოგიისათვის-კი მეტი ადგილი ულირსებია და ყოველს ამაში წინამძღვრად აუჩენია ბაიერნი, რომელმაც სამთავროს სასაფლაო მცხეთაში გასთხარა და ბევრი არხეოლოგიური ნაშთი იპოვა. ეს ბაიერნი ცნობილია როგორც კარგი მთხრელი საფლავებისა და საფლავებში ნაპოვნის კეთილ-სინიდისიერი და უტყუარი აღმწერელი. ხოლო მისი საისტორიო დასკვნა და განსჯა-კი ყველასაგან სასაცილოდ არის აგდებული. მოდით მართლა-და ნუ გაგვეცინებათ, რომ ეს ბატონი ბაიერნი ალექსანდრე მაკედონელის საფლავს სადღაც ავლაბრის ხევში ეძიებდა და სემირამიდისას, რომელიც ეხლა მითურ არსებად მიჩნეულია, წიწამურში, მცხეთის პირდაპირ, არაგვ გაღმა.

ჩვენი ავტორი, თუმცა დიდი მოყვარეა კრიტიკისა და отрицаніе-სი, მაგრამ აქ-კი ბაიერნს ბრმად აჰყოლია, უსათუოდ იმიტომ-რომ სამთავროს სასაფლაოს და ამ სასაფლაოში ნაპოვნებზედ ბაერნმა თავისი წერილი გერმანულ ჟურნალში დაჰბეჭდა. ამას თვითონ ავტორიც გვეუბნება თავის პირველ წერილის სხოლიოში 60 გვერდზედ და თვით იმ ჟურნალსაც გვისახელებს. აქაო-და გერმანულ ჟურნალმა დაჰბეჭდაო, აბა ჩვენი ავტორი როგორ-ღა შეიტანდა ეჭვსა ბაიერნის შესახებ, თუმცა-კი თვით-მსჯელობასა და კრიტიკაზედ დიდის ბაქი-ბუქობით ჰლაპარაკობს, თითქო ერთისა და მეორის მადლით უხვად მოსილი იყოს. ხოლო ჩვენს ავტორს რომ თვალი ცოტა გძლად მჭრელი ჰქონოდა, დაინახავდა, რომ ბაიერნის საისტორიო მსჯელობას და დასკვნას თვით რედაქცია, რომელმაც ბაიერნის წერილი დაჰბეჭდა, არ ენდო, რადგანაც აშკარად შეუსაბამონი არიან. ჟურნალი იგი, რომელსაც ჩვენი ავტორი ასახელებს და რომელმაც დაჰბეჭდა ბაიერნის წერილი, არის Zeitschrift für Ethnographie von Bastian und Hartmann. ამის რედაქციამ იქავ გამოაცხადა, რომ ჩვენ პასუხის-გება აგვიხდია ბაიერნის საისტორიო დასკვნისა და განსჯის თაობაზედაო, და ამ მხრით თავზედ მოახვია თვით ბაიერნსა[1]). აბა-რა თქმა უნდა — ეს ამბავი ჩვენმა ავტორმა მიაფუჩეჩა, უსათუოდ იმისათვის, რომ ამით აბრუ გაუტყდებოდა ბაიერნს, და ბაიერნის მოწმობა-კი მისთვის საჭირო იყო, რომ ქართველები ადამიანის ხორცის-მჭამელად და ბარბაროსებად გამოეყვანა. დიახ, საჭირო იყო, რომ ეს ეთქვა ჩვენს ავტორს.

И такъ самтаврскія (Байэрна) раскопки, нерѣшая вопроса о племянномь происхожденіи грузинъ, рисуютъ намъ ихъ. начиная съ X в. до Р. Х. сначала антропофагами, исповѣдывающими элементарную религію... და სხვანი-და-სხვანი. (Сѣв. Вѣст., № 2, გვ. 64).

ახლა რა უნდა დავარქვათ იმ კაცს, რომელსაც ფრანსუა ლენორმანი, ეს ყველა მეცნიერთაგან ავტორიტეტად ცნობილი, არაფრად მიუჩნევია და ბაიერნი-კი კერპად დაუსვამს და უწამებია, ბაიერნი, რომლის სჯასა და გამჭრიახობასაც თვით მისის წერილის დამბეჭდველი რედაქციაც ვერა ჰნდობია? ეს შეუსაბამო „отрицаніе“ ყველასაგან მიჩნეულისა ერთის მხრით და მეორეს მხრით ეს ასეთი ბრმა ნდობა ყველასაგან უარყოფილისა რის მომასწავებელია ერთსა და იმავე კაცში? ამისი პასუხი ყველას ადვილად მოადგება ენაზედ და ამიტომაც ჩვენ აღარას ვიტყვით. ჩვენ მარტო ამას დავუმატებთ, რომ ლენორმანის ნათქვამი ქართველებზედ ცოტად თუ ბევრად აბრუს უკეთებს ქართველსა და ბაიერნისა-კი — საბუთს აძლევს ავტორს სახელი ცოტად თუ ბევრად მოუთხაროს ქართველსა. აი ამიცანა სად არის ავტორის უცნაურის ქცევისა, თორემ რა დასაჯერებელია კაცმა უარჰყოს ლენორმანი და ბაიერნი-კი ბრმად იწამოს.

საფლავები, სამთავროში ნაპოვნი, ორ-გვარნი არიანო, ამბობს ავტორი: ერთი ქვისანი, ძველის ქართველების სამარხნი, მეორე აგურისანი, უფრო ბოლონდელ დროისანი, და ეკუთვნიან, ბაიერნის აზრით, ბერძნებსაო. ამ საფლავებში ნაპოვნ ცეცხლისაგან შეფიცხებულმა ძვლებმა ადამიანებისამ თუ სხვა პირუტყვისამ ბაიერნი იძულებულ ჰყო ეფიქრნა, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი ადამიანის ხორცის მჭამელნი იყვნენო და თვით ადამიანის ლეშსაც-კი საჭმელად ჰხმარობდნენო. ეგ ჩვეულება მკვდრების ჭამისა და კაცის კვლა კერპების შესაწირად შემოწმებულია თვით ქართველთა მატიანესაგანაო, ასვამს მერე თავის ბეჭედსაც ავტორი და თვით ვახუშტისაგანაც ამის დასამტკიცებლად მოჰყავს საბუთად შემდეგი ამბად დარჩენილი თქმულობა: „კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო“. ამ საბუთების გასაძლიერებლად ჩვენს ავტორს ერთი სხვა სასაცილო და ჭკვაში მოუსვლელი საბუთიც მოჰყავს. ამას-კი თითონ ავტორის სიტყვებით მოვიყვანთ, თორემ სხვაფრივ დაუჯერებელია:

„Существованіе антропофагіи въ эпоху самтаврскаго кладбища подтверждаетъ еще и то обстоятельство, что большинство найденныхъ тамъ костей, какъ человѣческихъ, такъ и животныхъ, лишено студени — обстоятельство, заставившее Байерна предположить, что ихъ подвергали вывариванію (?) (Сѣв. Вѣст., № 2 გვ. 61).

ამ სახით გამოდის, რომ ქართველებს

---

*) იხ. „ივერია“ №№ 71, 77, 78, 83, 89, 90, 106, 116 და 117.

[1]) ხვოლსონი: надгробная надпись изъ Мцхета, გვ. 120.

რად თ. აფრიდონიძე, შარშანვე ჩერნიგოვში გადავიდა იმ იმედით, რომ იქნება იქაურმა ჰავამ მარგოსო, მაგრამ საბრალო ყმაწვილი წელს, როცა სწავლა უნდა დაემთავრებინა, ფილტვების ანთებას გადაჰყვა. იმავე იმედით ერთი ყმაწვილი ხარკოვში გადავიდა და ამათ გარდა დარჩა კიდევ ოთხი სემინარიელი. ამათგან სამი გულის ტკივილით ავად გახდა და ექიმის რჩევით სოფლად გავიდნენ საცხოვრებლად.

*** **გორი:** წელს აქაურს საქალებო პროგიმნაზიაში სწავლა დაასრულა ერთმა ქართველმა ქალმა — ანიკო კეცხოველისამ. შარშანაც აგრეთვე ერთმა ქართველმა ქალმა მიიღო ამ სასწავლებელში ატესტატი. საზოგადოდ ემჩნევა თურმე, რომ რამდენიც დრო გადის, იმდენად უფრო და უფრო მცირდება ამ პროგიმნაზიის მოსწავლეთა რიცხვი.

*** **იქიდამვე:** ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში წელს ხუთი ქართველი ახალგაზდა ასრულებს კურსს. მერმისს-კი, როგორც ამბობენ, არც ერთი ქართველი არ იქნება მესამე—უკანასკნელს კლასში. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ქართველების რიცხვმა შესამჩნევად იკლო თურმე ამ სემინარიაში.

*** **სოფ. მუხრანი:** თავ. მუხრანიანთ მამულში სცხოვრობს რამდენიმე კომლი აისორი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთს ამათგანს საშინელი დანაშაულობა დაჰბრალდა, რის გამო საქმეც სწარმოებს. საქმე ის არის, რომ ერთს ცოლშვილიანს აისორს გაუპატიურებია ერთი ცამეტის წლის ქალი, რომლისათვისაც წყაროზე მიუსწვრია. საბრალო ყმაწვილი ქალი ამ ჟამად დუშეთშია.

*** **სოფ. მუხრანი:** მაისის 25-ს, შუაღამისას, ავაზაკებმა გაძარცვეს აქაური ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესია და წაიღეს ათ თუმნამდე ფული. აგრეთვე წაეხვიათ რამდენიმე ხატი, ბარძიმ-ფეშხუმი და მღვდლის სამოსლები, მაგრამ წაღება-კი ვერ მოასწრეს, იქვე გალავანში მდგომმა მედავითნემ გაიგო ეს ამბავი და თოფიც დასცალა. შემდეგ ყვირილი დაიწყო, რადგანაც სახლიდგან გამოსვლა ვერ შეეძლო, იმიტომ-რომ ავაზაკებს სახლის კარები ჩაეკეტნათ. ეკკლესიის კარები მთელი და მოუშლელია. ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ ქურდები მუხრანელები უნდა იყვნენო.

*** **ოზურგეთი:** დარჩიების გაქცევამ სატუსაღოდგან, რაიცა თავისს დროზე მოხსენებული იყო „ივერიაში", დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია გურიაში. იმათი გაქცევა მით უფრო შესანიშნავია, რომ, როგორც გავიგეთ, ორსავე ძმას ბორკილები ჰქონდათ ხელებსა და ფეხებში და სატუსაღოს მთავრობასაც თვალ-ყური უნდა ედევნებინა მათთვის, რადგანაც დარჩიები ხშირად ამბობდნენ ხოლმე: თუ რასმე გვიპირობენ, მალე გადაგვახდევინონ, თორემ ჩვენ აქ ვერ დავმაგრდებითო.

*** **გურია:** ჩვენში ერთი ჭორი გავრცელდა, რომელიც სოფლელებს ნამდვილად სჯერათ. ამბობენ, აბრეშუმის წარმოება უსათუოდ აღარ შეიძლებაო. თუმცა ეს ამბავი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ჩვენში გასავალი ყოველთვის ამისთანა ამბებსა აქვს, რადგან არაყისა და თამბაქოს დაბაჟების შემდეგ ხალხი გულ-გატეხილია და ყველა ჭორი ადვილადა სჯერა. აბრეშუმი წელს შარშანდელთან შედარებით კარგა ბლომად აკეთეს, და მაისში რომ ასეთი ცუდი დარები არ დაეჭირა, მოსავალი ერთი ორად მეტი იქნებოდა. მაზანდა ჯერ არა არსებობს-რა და არც იქნება პეტრე-პავლობის დღეობამდე, რომელიც ამ თთვის დამლევს იქნება სოფ. საჯავახოში.

*** 7 ამ თთვისას, მეხუთე განყოფილებაში, მტკვარში დაიხრჩო ბანაობის დროს ტფილისის სახელოსნო სკოლის შეგირდი არუთინ ნავასარდიანცი. გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

◆◆

## მგზავრის შენიშვნები

ჩემო საყვარელო მკითხველო, თუ გინდა სრული კმაყოფილება მიიღო მოგზაურობით დასტკბე შენს გარშემო აყვავებულის ბუნებით, ცოტაოდნად დააკვირდე იმ ხალხის ხასიათსა და ჩვეულებას, სადაც მოგზაურობ, თავის დღეში არ უნდა იმოგზაურო არც რკინის გზითა და არც დილიჟანით. ორსავე შემთხვევაში ყველა, ვინც-კი შენს გვერდით დაჯდა შემთხვევამ, სრული უფალი ჰხდება შენის თვალისაც, ყურისაცა და გონებისაც. ის გინდა თუ არა გაძალებს თავისს მგზავრობას, თავის ცხოვრების გადასავალს, თავის საგძალს, თავის ღვინოს, თავისის სულის მარტოობას. იმას სთვლემს ვაგონის ნელ-ნელა რყევაში და რადგანაც თვლემა სასირცხვილოდ მიაჩნია, შენდა დაუკითხავად სარგებლობს და შენზედ თავს იყოლიებს.— სად მიბძანდები, საიდგან მოხვალ? სად ემსახურები, ჯამაგირი რამდენი გაქვს?.. ასეთი ღვინო მოგართვა, რომ შენი მოწონებული. ნახე რა მშვენიერი ზურგიელია! „ოხ, ღმერთო!—ჰნატრობ;—რატომ სასტიკი ხასიათი არა მაქვს, რომ ხმა ჩავაწყვეტინო, თავისისავე ზურგიელით ზურგი გავუზომო", მაგრამ განა არ მოგეხსენებაო ქართველის კაცის ხასიათი. გული ყელში გეჩრება სიბრაზით, მაგრამ ტუჩებზედ ღიმილი მოგდით და დაბლა თავის დაკვრით შეექცევით ხუთის დღის გამხმარ ზურგიელსა და კუპრ მოტივტივებულ მჟავე ღვინოს. სწორედ ასე დამემართა მეც ჩემ მოკლე მგზავრობაში ტფილისიდამ ბათუმს რკინის გზით და შემდეგ ტფილისიდამვე თელავს დილიჟანით.

დიდის სულის მღელვარებით ჩავჯექ რკინის გზის მატარებელში, პირჯვარი გადავიწერე, კმაყოფილების ღიმილით გადავათვალიერე ხალხით გამოტენილი ვაგონი. მათ შუა ჩემი ნაცნობი არავინ იყო და სრული კმაყოფილი ამ შემთხვევით მივჯექი კუნჭულში და თავი მივეც ოცნებას. შემდეგ დიდიხნის სურვილისა ძლივს მოვახერხე გამოგზავრება ჩემის ქვეყნის დასათვალიერებლად და იმედი მქონდა, რომ ყველა მხარეს, ყველა კუნჭულს ჩემის მშვენიერ სამშობლოსას თვალით შევჭამ, გულს ჩავიხატავმეთქი. მაგრამ პირველ სადგურთანაც არ ვიყავით მისული, რომ ერთი ბებერი დედაკაცი სულში ჩამიძვრა, გონების ძარღვები დამიხლართა: „ჩემო მშვენიერო, რომ იცოდე რა მწუხარე ვარ, შემიბრალებ. ჩემი ქალი, ჩემი სულის იმედი, ჩემი სიცოცხლის სინათლე, რუსეთს გავასტუმრე. ოხ, ოხ, მე უბედური, ოხ, ოხ", და მოთქმით ქვითქვითებდა საცოდავი. სადღაა ჩემი კმაყოფილება! სადღაა ჩემი სურვილი, რომ დავსტკბე, გავიგონო, დავინახო ჩემი ქვეყანა, იმისი ავი და კარგი! თვალებზე უნებლიეთ მეც ცრემლები წამომადგა და გონება ორლოვის გუბერნიაში გასტუმრებულ ქალიშვილის ბედზედ შესდგა.

სადგური „სურამი", წამოიყვირა კონდუქტორმა. ჩემი მობაასე თანამგზავრი გულიანად გამომემშვიდობა, თავის საცხოვრებელი ალაგი დამისახელა: „გენაცვალე, თუ როდისმე შეგემთხვეს სადმე სურამში ყოფნა, უეჭველად მნახეთო", და აუჩქარებლივ ჩავიდა კიბეზედ. მე იმის გამოსალმებაში ძლივს მოვასწარ თვალის გადავლება სურამს, განთქმულ ციხე-გალავანს თავისის მტირალის კედლით.

ავედით „კორტოხზედ". აქ სულ სხვა ნიავმა დაჰბერა. ფილტვები თითქოს გაგანიერდნენ, სუნთქვა თითქო გაორკეცდა მთის ჰაერის შესასუნთქავად. მე დავეშურე ფანჯარაში გადაყუდებას, რომ იქიდამ თვალი გადამევლო ძირს გადაშლილის ზემო-ქართლის მინდვრებისათვის, რომლებიც მშვენივრად იყო აჭრელებული თავ-თავ დასხმულ თიბათვის ყანებით, შავის ანეულის ხნულებითა და შეტაროებულ მწვანე სიმინდით. თვალი სტკბებოდა ფართო სურათით, გული დამშვიდებული სცემდა. „ლოკომოტივი" მძიმედ, კვნესითა და ხვნეშით მიძვრებოდა აღმართზედ. მე ამ შემთხვევით კმაყოფილი ვიყავ, რადგანაც უფრო დიდხანს ვუყურებდი, უფრო კარგად დავიხსომებდი საქართველოს „კიდობანს", როგორც ზემო-ქართლს უწოდებენ ჩვენში, მაგრამ შენც არ მომიკვდე, რომ დიდხანს არ გასტანა ჩემმა თვალისა და გულის კმაყოფილებამ. მეორე ფანჯრიდამ ვიღაც ნაცნობმა თავი დამიკანტურუშა და ბაასი გამიმართა იმაზედ, თუ რა სასიამოვნოა რკინის გზით მოგზაურობა და რა დიდი გენიოსი უნდა ყოფილიყო ამისი მომგონი. ესე და ამ რიგად სადგურიდამ სადგურამდე ნაცნობი თუ უცნობი გულს იყოლიებდა ჩემზედ და მე-კი ის იმედი, ის ტკბილი იმედი, რომ ჩემს ქვეყანას თვალს გადავავლებდი, ხელიდგან მეცლებოდა. სადგური ესა-და-ესა: მშვენიერად ნაგები სახლი, კარებ წინ მრავალი ხალხი ირევა. ვინ აქაურია, ვინ მოსული, ძნელი გასარჩევია. ყველა გარბის, მიეშურება, პირზედ რაღაც ჭმუნვის ზარი აქვს დაცემული, შავი-ქვითა და ქვა-ნახშირით მთლად შემურულია არე-მარე. ზოგან უდებენ, ზოგან სცლიან, ზოგან სწონავენ. შემდეგ მატარებელი ისევ გარბის, კიდევ სადგური, კიდევ ფაცი-ფუცი, კიდევ შავი-ქვა და მატარებელი კიდევ გარბის.

დაილოცა ჩვენი ნეტარხსენებული „ტარანტასი" თავის წკრიალა ზარბითა და ნელის „რისით", როგორც ქართლელი „კუჩრები" იტყვიან ხოლმე. შენთვის მარტო განცხრომით ზიხარ, შენს ფიქრებს აჰყოლიხარ, შენი მობაასენი არიან მხოლოდ ლაჟვარდი ცა და გარშემორტყმული მთა და ველი. დასტკბი თვალო და გულო, იყურე რამდენიც გინდა და შთაიბეჭდე რაც-კი მოგეწონოს. ცხენები გა-

---

იმ დროს ძვლები უხარშავთ და ბულიონი უკეთებიათ, თორემ ის რაღაც студень ია აქამდე ძვლებს უნდა შერჩენოდათო. Студень-ი ძვლებში ჩამდგარი სიმსუქნეა, რომელიც გამოხარშვით გამოიწოვება ხოლმე, და მერე როცა გაცივდება, შედედდება და ქილეს მსგავსად დადგება. ეს არ შერჩენიათ ადამიანის ძვლებსაო, მაშასადამე, ქართველებს ეს ძვლები უხარშავთ და აქედამ ადვილად მისახვედრია, რომ ადამიანის ხორცის მჭამელები ყოფილანო. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ჩვენს ავტორსა და ბაიერნზედ ითქმის. კაცი ამბობს, რომ სამთავრის საფლავები ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინად და იმ დროიდამ ბაიერნამდე, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, სამი ათას წლიდამ ორი ათას წლამდე ხანი გასულა და რაღა საწვნე, თუ სიმსუქნე, ანუ ჩვენის ავტორის, студень--ი უნდა შერჩენოდა ძვლებს? ეს დრო იმოდენაა, რომ თითქმის თვით ძვალსაც მტვრად გადააქცევს და ჩვენს ავტორს-კი თავის ბაიერნთან ერთად მოსდომებიათ ის რაღაც студень-ი შეენახათ იმ ხანის ძვლებსა, რომ დღეს ბულიონი გამოხადონ. ამისთანა გამძლეობა студень-ისა თუ სიმსუქნისა ძვლებში ახალი აღმოჩენაა მეცნიერებისათვის და აქაც პირველობა ჩვენს ავტორს უნდა მივულოცოთ, თუ ბაიერნი საიქიოდამ არ შეეცილება.

ან რა საბუთია ქართველებისაგან ადამიანის ხორცის ჭამისა ვახუშტისაგან მოყვანილ თქმულობაში, რომ კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო! განა ეხლა-კი არ ამბობენ, მაგალითებრ, მთიულები, სადაც სისხლის აღება ჯერ გადავარდნილი არ არის, რომ ჩვენი მკვდარი ამა-და-ამ თემსა ჰმართებსო. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ერთს თემს მეორის თემის კაცი მოუკლავს და ჯერ ან სისხლი არ აუღიათ, ან სისხლის ფასი. თუ ამ საეჭვო ამბავს უჯერებს ჩვენი ავტორი ვახუშტსა, რატომ იმასკი არ უჯერებს, სადაც იგივ ვახუშტი კეთილს რასმე ამბობს ქართველებზედ? ნუ თუ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ავტორს ყოველივე კეთილი ქართველის შესახებ ეხამუშება, სწყინს და ყოველსავე ავსა და ცუდს-კი, თუნდ საეჭვოსაც, ხელზედ დაიხვევს ხოლმე, როგორც უეჭველსა და უცილობელს. ეს გახლავთ безпристрастіе и объективизмъ ი, რომელიც აღუთქვა მკითხველს თავის პირველ წერილის 54 გვერდზედ ჩვენმა ავტორმა.

რაც შეეხება იმას, ვითომც ადამიანის ძვლები ცეცხლისაგან შეფიცხებულნი უპოვნია ბაიერნსა სამთავრის საფლავებში, ამაზედ მერე ვიტყვით, როცა ჩვენს ავტორს გამოვკითხავთ ჩვენის უწინდელის სარწმუნოების ამბავს. ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენს ავტორს ბევრი რამ გამოჰპარვია ჩვენის ქვეყნის არქეოლოგიის შესახებ. მაგალითებრ, იმას არა სცოდნია, რომ ბევრი და ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშთი აღმოჩენილია კამენტსა და კობანს (ვლადიკავკასის მხარეა), სტეფანწმინდას, ანუ ყაზბეგს, დილიჟანს, წალკას, სართიჭალას და სხ. ყოველს ამაში ყველაზედ ძვირფასნი ნაშთნი პოვნილია კობანს, დილიჟანს და ნამეტნავად სამთავროს. თუ ამას იტყვის, ამისათვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდიო, ეგ ბანზედ სიტყვის აგდება იქნება. ამას დიდი ძებნა არ მოუნდებოდა, თუ-კი მოისურვებდა. საჭირო იყო მოეკითხნა Труды Москов. Археол. общ. т. X და იქ იპოვიდა უვაროვის წერილს: Взглядъ на мцхетскій могильникъ.

ეს რომ წაეკითხა ჩვენს ავტორს, მაშინ ის ტყუილი აღარ მოუვიდოდა, რომ ვითომც საფლავები სამთავროსი მარტო ორგვარნი არიან და არც ისე გაითამაშებდა სამთავროს საფლავების ძვლებით ხელში. სამთავროს საფლავები ძალიან კარგად გამოძიებულნი არიან იმისთანა მცოდნესაგან, როგორიც უვაროვია. ამ გამოძიებისაგან სჩანს, რომ სამთავროს საფლავები ორ-გვარნი-კი არ არიან, როგორც ჩვენს ავტორს მოსჩვენებია, არამედ სამ-გვარნი არიან. უძველესი საფლავები რიყის ქვით არის აგებული და მოწყობილი, მეორე აკლდამები დიდროვანის კლდის ქვისა და მესამე უშველებელის აგურისა. ამაებში ნაპოვნი ნივთები კულტურის ნაშთნი არიან და იმათს ამბავს თავის ადგილას ვაუწყებთ მკითხველს.

ამ ხანად-კი ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ეს ზღაპრები ავტორისა იმიტომ არ მოგვიყვანია, ვითომც არა გვჯეროდეს, რომ ოდესმე ქართველებს ჩვეულებად არა ჰქონოდეთ ადამიანის ხორცის ჭამა. იქნება იყო ამისთანა დრო და საკვირველიც არ არის, იმიტომ-რომ ქვეყანაზედ თითქოს არც ერთის ერის პირველ-ყოფილ წინაპართ არ დაეცილებათ ამ საზარელ ჩვეულების არ-ქონა. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართველების სახელის შეთითხნისათვის რა სასაცილომდე უცნაურს სახსრებსა ჰხმარობს ჩვენი ავტორი, რა რიგად ადვილად ემყარება არა-სარწმუნო კაცებს და მოწმობას და ამავე დროს რა რიგად ყურს იყრუებს, თვალსა ჰხუჭავს იქ, სადაც პირდაპირი, უტყუარი საბუთია ქართველის ასე თუ ისე კეთილად ხსენებისა ფრანსუა ლენორმანს და სხვებს ამისთანა გამოჩენილს კაცებს არას უჯერებს და ბაიერნის წინაშე-კი ქუდს იხრის და თავის კრიტიკისა და отрицаніе-ს შუბს ძირსა სდებს. ეგ რად გიკვირთ: თვითონ სამთავროს საფლავებმა ბევრი რამ იმისთანა აღმოაჩინა, რომელიც ჰმოწმობს უწინდელ ქართველების კულტურის ასე თუ ისე სიდიდეს და სიმაღლეს და აბა თუ ერთი სიტყვა წასცდენოდეს ამაზედ. პირ იქით, მკითხველის თვალი შეაყენა თითქმის მარტო იმაზედ, რომ ქართველები კაცის-მჭამლები იყვნენო. მერე ვისის ავტორიტეტობით! აი ამაზეა ნათქვამი ქოთანმა იგორა, იგორა და თავისი სარქველი იპოვაო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს!

◆◆

## იალბუზის გარშემო

(შემდეგი*)

წინდაწინვე ვაცხადებ, რომ აღწერა იალბუზისა ძლიერ მოკლე იქნება. ვის არ გაუგონია, რომ იალბუზი კავკასიონის ყველა მთებზე მაღალია, დიდია. იალბუზის მნახველს ისე მისი სიმაღლე არ აოცებს, როგორც განზიდულობა დიდს მანძილზე. საგნის ნათლად წარმოდგენა მაშინ უფრო უადვილდება მკითხველს, როდესაც პირველს, ე. ი. ასაწერს საგანს, სხვა საგანთან ადარებ. ამ გვარი შედარება მსურდა მეც იალბუზის შესახებ,

*) იხ. „ივერია" №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 114 და 115.

მოუშვი საუკეთესო კუთხეში, ანკარად მობიბინე მდინარის პირს, დიდ ცაცხვის ქვეშ, ცეცხლზედ ააშიშინე მწვადები და მხარ-თეძოზედ წამოწექ. მოგზაურობა თუ გინდა, ესე უნდა; რომ მიეშურები, რას მიეშურები, განა თვალის გადაევლებით შეიძლება ნახო, გაიცნო, შეისწავლო, დააკვირდე რასმე? ამ გვარის მოგზაურობით მარტო შენს ცნობის მოყვარეობას, შენს გულის სურვილს ატყუებ და შენს ჯანსა და ღონესა ჰლალავ.

ერთად-ერთი შთაბეჭდილება ამ მოგზაურობაში, რომელიც ჩემმა გულმა იგრძნო და გონებამ გაზომა, იყო ჩვენი სკოლები. სკოლების დათვალიერებამ, დათვალიერებამ მხოლოდ გაკვრით, ისე, გარეთადის შეხედულობით, ნუგეშით აავსო ჩემი გული და სხივი მოჰფინა ჩვენს მომავალს, ყველგან დაწყებული, ბოლოდგან ე. ი. ბათუმიდგან ახალქალაქამდე (გორს), ყველგან, მხოლოდ ცოტაოდენის განსხვავებით, თქვენ ჰხედავთ მთელს მომავალ თაობას, რომელსაც შეგნებით ესმის, თუ ვინა და რა არის. ტანში ქრუანტელი გივლის, თვალები ცრემლით გევსება, მწუხარება და ბედნიერება ერთად შერეული გულს გიფრიალებს, როდესაც ძონძებში გახვეული გლეხის ბიჭი ცუდად მოწყობილ კლასში, ნესტიან ოთახში, მამაცად, წელში გაშლილი, ყელ-მოღერებული, წყნარად, დარბაისლურად და გასაოცარის შეგნებით გიჭიკჭიკებს: გრიგოლის „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?" და რაფაელისას: „არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".

დიახ, სასოფლო სკოლაა ჩვენის მომავალ ცხოვრების გამნათეებელი, მხოლოდ სასოფლო სკოლის მასწავლებელს შეუძლიან გამოაღვიძოს და ფეხზედ დააყენოს ჩვენი ხალხი. იქნება მე ამაში ძრიელ შემცდარიც ვიყვე, მაგრამ ამ გვარი შთაბეჭდილება-კი მოახდინეს ჩემზედ ჩემ მოგზაურობის დროს მინგრეულ-მონგრეულ სკოლების დაგლეჯილმა შეგირდებმა და მამათ გულ-ჩათხრობილმა, მაგრამ სულით აღმაფრენაემა მასწავლებლებმა.

ეკ. გაბაშვილისა

# უცხოეთი

იტალია. დიდის ამბით იდღესასწაულა წარსულს კვირას იტალიამ ძეგლის დადგმის დღე თავის სახელოვანის ფილოსოფოსისა და ღრმა მოაზრე ჯორდანო ბრუნოსათვის. ეს ფილოსოფოსი მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს სცხოვრობდა და კათოლიკე სამღვდელოების წინააღმდეგობისათვის სიკვდილით დასჯა განუწესა უმაღლესმა სასულიერო სასამართლომ. სასამართლოს ბჭობამ რვა წელიწადი გასტანა. ფილოსოფოსს დაჰბრალდა რვაზედ მეტი დანაშაული და, თუმცა საშინელს წამებაში ჰყავნდათ დაპატიმრებული ჯორდანო ბრუნო, მაინც ვერ გადაათქმევინეს თავისი მოძღვრება და აზრები. 1600 წელს, 17 თებერვალს, რომში „Campo dei Fiori"-ს მოედანზე აღგზნებული კოცონი იდგა, ინკვიზიციისაგან მომზადებული, და აი ამ კოცონზედ აიყვანეს და დასწვეს ვითომ ურწმუნო და ღვთის უარ-მყოფელი ბრძენი და ფილოსოფოსი. სწორედ ამავე მოედანზე და ზედ იმ ადგილს, სადაც ენთო კოცონი ბრუნოს დასაწველად, იტალიელებმა დღეს ძეგლი აუგეს იმ კაცს, რომელმაც სიკვდილი არჩია თავის აზრების უარ-ყოფას. იტალიის სამღვდელოება, სამღვდელოების მომხრენი და თვით პაპიც, რასაკვირველია, წინააღმდეგნი იყვნენ ამ ძეგლის აგებისა. ან-კი რა სასიამოვნო უნდა იყოს მათთვის მოგონება შავისა და ბნელის დროსი, როცა არა თითო-ოროლობით, არამედ ათობითა და ასობით სდევნიდა ხალხს, ალპობდა ციხესაპყრობილეში, სტანჯავდა, აწამებდა და სწვავდა ცეცხლში გარდამეტებულის სასოებითა და ღვთის-მოსაობით განაწყრებული და ადამიანობის ნიშან-წყალს მოკლებული ინკვიზიცია და პაპობა. მას უკან დიდი ხანი გავიდა, ძალა პაპობისა შესუსტდა და მის მტარვალობას, კაცობრიობის საბედნიეროდ, ბოლო მოეღო. ეხლანდელი პაპი და კათოლიკე სამღვდელოება, უეჭველია, კეთილად არ იხსენიებს მაშინდელ პაპობასა და ბერობასა, მაგრამ მაინც გახსენება მაშინდელის დროსი მათთვის არ უნდა იყოს სასიამოვნო. ამიტომ ჯორდანო ბრუნოს ძეგლის ამართვა, და მერე ისეთის დიდის ამბით, როგორც იტალიელებმა გადაიხადეს, გულში ეკლად მოხვდა ვატიკანსა და იტალიის კათოლიკე სამღვდელოებას.

ძეგლის ამართვის დღეს მშვენიერი დარი იყო. 50 ათას კაცზე მეტი მისულიყო რომში დღესასწაულზე დასასწრებლად. აი დილის 9 საათზედ დამწკრივდნენ დელეგატები ქალაქებისა, უნივერსიტეტებისა და იტალიის სხვა-და-სხვა საზოგადოებათა. კრებული დელეგატებისა გაემართა ძეგლის მოედნისაკენ. ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც სალამს აძლევდა დელეგატებს. მუსიკა ხან სამეფო მარშს უკრავდა, ხან გარიბალდის საგალობელს, ხან მარსელიეზას. სახლები საუცხოვოდ მოერთოთ. ხალხი ყვიროდა: „გაუმარჯოს ბრუნოს!" „გაუმარჯოს აზრისა და მსჯელობის თავისუფლებას!" მწკრივად და მწყობრ-მწყობრად მიმავალნი სალამს აძლევდნენ ჯარის-კაცთა, რომელნიც ქუჩის შესახვევებში იდგნენ. დეპუტაციები სულ 6,000 იყო. ზოგიერთს დეპუტაციაში 2,000 კაცი ირიცხებოდა. უნივერსიტეტებისაგან გამოგზავნილს დეპუტაციაში და აბრუციდამ მოსულში ორ-ორი ათასი კაცი იყო.

დეპუტაციები და დელეგატები რიგით მიდიოდნენ: ჯერ გარიბალდის დროშის ქვეშ მებრძოლნი მოხუცებულნი მემუსიკეთა ხოროთი, მერე კომიტეტი, რომელმაც დაიწყო ძეგლის ამართვის საქმე, შემდეგ რომის უნივერსიტეტი, დელეგატები უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო საზოგადოებათა იტალიელთა და უცხოელთა და მერე სხვა აუარებელი დეპუტაციები.

ძეგლის გარშემო ამართული ფარდულები გაჭედილი იყო სენატორებითა, დეპუტატებითა და რომისა და ნოლას დელეგატებითა. ნოლა სოფელია, სადაც დაიბადა ბრუნო.

11 საათზე აჰხადეს სავანე ძეგლს დაიგრიალა ტაშმა. აყვირდა მუსიკა ყველა მემუსიკეთა, იგრიალა ყველა ჯარების თოფებმა, ხალხი იქნევდა ქუდებს, ხელსახოცებს. შემდეგ წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა...

საყურადღებოა სალამი, რომელიც გაუგზავნია ამ დღესასწაულისათვის შუა საუკუნოების სახელოვანს მეისტორიეს ფერდინანდ გრეგოროვიუსს. აი სხვათა-შორის რა მიუწერია ამ ისტორიკოსს:

„სიკვდილით დასჯის განაჩენებმა ფანატიკოსობისამ ვერც ერთხელ ვერ გააქრო ლამპარი აზრისა და ვერც ერთხელ ვერ გასტეხა სიმამაცე ღრმად მორწმუნე კაცთა. მოძღვრებანი არნოლდისა და სავანაროლასი არ განჰქრნენ მათ სიკვდილთან ერთად. კონსტანცში აღგზნებულის ცეცხლის ნაპერწკლები ვიტტენბერგში გადაცვივდა და აენთო იმ ცეცხლად, რომელშიაც ლუტერმა ჩასწვა ბრძანება პაპისა. სოკრატის აზრები კვლავ გაცოცხლდა, ღვთაებრივი პლატონი შეიგნეს და დააფასეს, ბრუნოს ფიქრი მეტის განცხადებით გამოსთქვა ღრმა-მოაზრე სპინოზამ

„ჯორდანო ბრუნოს სიკვდილით არ მოსპობილა წამება ადამიანთა. ბევრნი იწამნენ კიდევ ბრუნოს შემდეგაც და, ვინ იცის, კიდეც იწამნენ მომავალში, თუ არ გავუფრთხილდით და არ დავიფარეთ ბნელთა ძალთაგან ყოველივე, რაც დიდის გაჭირებით შეუძენია კულტურას და რასაც ის ბნელნი ძალნი ჯოჯოხეთიევით ემუქრებიან ცხადად თუ ფარულად.

„ძეგლი ჯორდანო ბრუნოსი მოაგონებს და მუდამ გაახსენებს იტალიის ერს იმ ძვირფასს საუნჯის შეძენას, რომელსაც ეწოდება თავისუფლება რწმენისა და თავისუფლება მსჯელობისა. იგი ძეგლი მუქარა იქნება კაცობრიობის გაადამიანების მტერთათვის. დაინახავენ ეს მტერნი დიდებულის წამებულის ქანდაკებას და ცხადად დარწმუნდებიან, რომ მეცნიერება დღეს ყოვლად ძლიერია და რომ ვერავითარი დაწესებულება ვერ გაუმაგრდება დროთა ბრუნვის შემუსვრას, თუ ისე არ გადაიცვლება როგორც მოითხოვს განათლება და თავისუფლება.

# წვრილი ამბავი

ინგლისის გაზეთის „Pall-Mall Gazette"-ს რედაქტორს, ბ-ნს სტედს, ერთი ახალი და ახირებული ღონისძიება უპოვნია მართლ-მსაჯულობის გასაუმჯობესებლად. ამ ღონეს ინგლისის მწერლობა სასაცილოდ იგდებს. აი რაში მდგომარეობს ეს მართლ-მსაჯულობის გასაუმჯობესებელი ღონისძიება: ბ-ნი სტედი ამბობს, რომ არც ერთს ინგლისის მოსამართლეს ნება არ უნდა ჰქონდეს მსჯავრის დადგენისა, ვიდრე თითონ არ გამოუცდია რომელსამე სამეფო საპატიმროში, თუ ციხე და იქ დამწყვდევა რა ხილიაო. როცა თითონ გამოსცდის რა მწარეა ციხეში ყოფნა, მაშინ უფრო კაცთ-მოყვარე შეიქმნება და ისე სასტიკად აღარ მოეპყრობა იმ ბრალდებულთ, რომელთაც ასამართლებსო.

— პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე დიდ-ძალს ქურდ-ბაცაცებსა და ჯიბგირებს მოუყრიათ თავი ქვეყნის ყოველ მხრიდგან. თუმცა საიდუმლო პოლიციის მოხელენი ერთი-ორად მრავალნი არიან

---

მაგრამ შესადარებელს საგანს ველარ ვპოულობ. მართლა რას უნდა შეადარო ეს ორ-თავა და სამ-ფეხიანი დევი, რომელსაც ერთი ფეხი ქუთაისის გუბერნიაში უდგია, მეორე თერგის ქვეყანაში, მესამე ყუბანისაში, და თავით ცასა სწვდება! თუ რამ სიდიდეა იალბუზი სიგრძე-სიგანეზე, მკითხველი მიხვდება იქიდამ, რომ მარტო ჩრდილოეთის ფერდის გავლას—ბახსანიდამ ყარაჩამდე—ორ დღე ნახევარი მოვუნდით. ჩრდილოეთის ფერდი იალბუზისა თოვლით დაფარული და ოდნავ გაზნექილია. ძირიდამ თავამდე რომ თვალი გააყოლო, ისე გეჩვენება, ვითომ ამ ფერდზე სიარული ძნელი არ უნდა იყოსო. ნამდვილად-კი ასე არ არის და თუ გეჩვენება, იმიტომ-რომ თვალი გატყუებს. ეს ფერდი მწვერვალზე ასასვლელად მიუდგომელი და მიუკარებელია. დღემდე ვერც ერთი მოგზაური, რომელსაც ჰღირსებია იალბუზის თხემზე ფეხის დადგმა, ამ ფერდით ვერ ასულა. აღმოსავლეთის მხრით ერთი მეორეზე მიყოლებით შესდგომიან მთაქედები და ამისათვის თვით იალბუზი შესაფერ მაღლად არ ეჩვენება თვალს. დასავლეთის მხრით ყარაჩიდამ-კი უფრო პირდაპირ ამართულა ეს ბუმბერაზი და აქ ჰხედავ იმის ნამდვილს სიმაღლეს, ამ მხრით და ნამეტურ სამხრეთ-დასავლეთით მწვერვალის ახლო იალბუზის ფერდი მიგლეჯილ-მოგლეჯილია, თითქო იმისი გულ-მკერდი რაღაც მანქანებას გამოუგლეჯიაო, და ნაფლეთები, შავი კლდეები, ერთი მეორეზე მიყრილ-მოყრილი, არეულ-დარეული, თავს ზარსა სცემს მაყურებელს, ტყვიასავით გულს აწვება, ასე რომ ბევრ ხანს იმის ყურებას ვერ უძლებ და გინდა მალე მოაშორო თვალი. სამხრეთის მხრით იალბუზის ზედა ტანი ცოტათი დაშორებია ჩრდილოეთისკენ კავკასიის ქედის კედელს, თითქო მიკარება უმცროს ძმებ-მთებისა ეთაკილებოდესო; ქვედა ტანით-კი იალბუზი შეერთებულია დიდ-ქედთან. ამ ქედსა და იალბუზის მწვერვალს შუა უღელტეხილია, რომლითაც ბახსნიდამ ყარაჩას გადადის ქვეითი კაცი დიდის გაჭირებით. დიდის ქედის მაღალი მწვერვალები, როგორიც არიან, მაგ., უშბა, თეთნულდი, შხარა და სხვანი, ისე სჩანან იალბუზიდგან, როგორადაც გამოჩნდებიან, ვსთქვათ, ფინია ძაღლები აფრიკის ვეება ლომთან. იალბუზს, როგორც ვიცით, ორი მწვერვალი აქვს—აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. შუაში უნაგირი არის, ხომ ასეთი მაღალი იალბუზი, მაგრამ კარგა ხანია, რაც იმისს მწვერვალზე ადამიანი ავიდა, ის ადამიანი, რომელსაც, რაკი დედამიწის ზურგზე უნახავი და ფეხქვეშ ამოუდებელი არაფერი დარჩენია, დღეს ცის მნათობებს მზე-მთვარესა და ვარსკვლავებს ეპოტინება და კიდეც გამოსტყუა რამდენიმე ცნობა თავისს ვინაობა-რაობაზე. მწვერვალებში დასავლეთისა უმაღლესია აღმოსავლეთის მწვერვალზე. უკანასკნელის დროის გამოკვლევით დასავლეთის მწვერვალის სიმაღლე არის 18,467 ფუტი, აღმოსავლეთისა—18,347 ფუტი, უნაგირასი—17,451 ფუტი. აღმოსავლეთის მწვერვალზე პირველად ავიდა 1829 წ. ერთი ყაბარდოელი, სახელდობრ ქილარი. ამავე მწვერვალზე 1868 წ. ავიდა ინგლისის ცნობილი მეცნიერი ბ-ნ დუგლას ფრეშფილდი და მისი თანაამხანაგი ორი ინგლისელი: მური და ტეკკერი და ფრეშფილდის განუყრელი მოსამსახურე თანამოგზაური შვეიცარიელი ფრანსუა დევუასუ. დასავლეთის მწვერვალზე პირველი ავიდა 1874 წ. ბ-ნი გროვე, ავტორი წიგნისა „Холодный Кавказъ". ბოლოს ხანებში რამდენიმე მოგზაური, მომეტებულად საზღვარ-გარეთელი, ეღირსა იალბუზზე ასვლას. ყველაზე უკანასკნელად, ე. ი. შარშან 1888 წ., იალბუზის უნაგირაზე ავიდნენ ბ-ნნი გოლომბიევსკი და ბარონი უნგერნ-შტერნბერგი. ამითი ვათავებთ იალბუზის აღწერას.

ნასადილევს გზას გავუდექით. მთელი ეს დღე და ნახევარი მეორე დღისა სულ ყარაჩაელების საჯოგეებში ვიარეთ, რომელნიც მობმულნი არიან იალბუზზე. სალამოს მივაწიეთ ერთს შიშველ ხეობის თავს, იქიდამ ყარაჩას დაღმართი იწყება. მთელი დღე თვალებ-გაფაციცებით ვეძებდით ტყეს, მაგრამ სანახავადაც ვერსად შევხვდით. ტყე-კი საჭირო იყო ჩვენთვის, გამომცხვარი პური და მოხარშული ხორცი სადილად მოგვინდა და ვახშმის გასაკეთებლად შეშა გვეჭირებოდა, მაგრამ ტყუილი-ღა იყო იმედი. იმ ადგილიდამ, სადაც ჩვენ დაგვიღამდა და ბანაკად დავეცით, ტყე 15 ვერსის მანძილზედ ახლო არსად იყო. ამ ნაირად დავრჩით უვახშმოდ. ეს ადგილი ნაჯოგარი იყო. ჯ. გვირჩია გამხმარი ნაკელი მოგვეგროვებინა, ეგებ ჩაი ავადუღოთ მაგითიო. მოვაგროვეთ ესეც. ჯერ მოკიდება-გაღუებას მიაწყდნენ ბიჭები დამერე, როცა ვაი-ვაგლახით სპილენძის საჩაეში წყალი ავადუღეთ, ჩაი ჩავყარეთ, ისეთი გემო მისცემოდა ჩაის, რომ პირში ვერავინ ჩაუშვა. ჩვეულებრივ გავეხვიეთ ლართებში და დავეყარეთ მინდვრად.

მეორე დღეს დილა სუსხიანი იყო; საგრძნობლად შეგვცივდა, როდესაც ლართებიდამ გამოვძვერით. მიწას ნამი ედვა. დაუყოვნებლივ გავუდექით გზას. ვეშურებოდით იმ იმედით, რომ ტყიანს ადგილამდე მივაწევთ, სადაც ხარჯს გავიკეთებთ და დავნაყრდებითო. ექვსი საათი ვიარეთ მოუსვენებლივ. საწყალ ქვეითიან სვანებს შიმშილით არაქათი გამოელიათ. რამდენადაც ვუახლოვდებოდით ყარაჩას, იმდენად ჩრდილოეთის გვერდი იალბუზისა თვალთაგან გვეკარგებოდა. სამაგიეროდ ვხედავდით ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ფერდს და უმაღლესს მწვერვალს იალბუზისას. ორის ნახევარი იყო, რომ მივედით ხურმუკის ერთს განაპირს სოფელს. სვანები მაშინვე მოსახლეებს შეუცვივდნენ, უნდოდათ სადილის მომზადებამდე მაწონი ან აირანი სადმე ეშოვათ, მაგრამ სოფელში მამაკაცი არავინ იყო შინ და დედაკაცები-კი, როცა ჩვენ დაგვინახეს, ვინც გაგვასწრო, სოფელს გარეთ გაიქცა, და ვინც ვერა, სახლებში ჩაიკეტეს კარები. ვხედავდით, რომ სოფლიდამ ხეირი არაფერი გამოვიდოდა და ისევ ჩვენს ფქვილსა და საკლავს მივმართეთ. ერთ მოსახლის ეზოში სვანებმა ორ ადგილას დაანთეს ცეცხლი, ერთ ცეცხლზე საჩქაროზე პურები გამოხაბხლეს და მეორეზე ხორცი მოხარშეს. მომზადდა ხელდახელ სადილი, მოვიკალით შიმშილი და ნასადილევს დავეშვით ხურმუკის ხეობაში.

თავ. სვანი

(შემდეგი იქნება)

ეხლა და ყველა საეჭვო კაცს თვალ-ყურს ადევნებენ, მაინც ჯიბგირები მეტის ხელოვნებით ასრულებენ თურმე თავისს ხელობას და პოლიციაში ბევრი საჩივარია ამ ჯიბგირების მსხვერპლთა მიერ შეტანილი. პოლიცია იმ აზრისაა თურმე, რომ ეს ოსტატი და ხელოვანი ჯიბგირები ლონდონიდგანა და ამერიკიდგან უნდა იყვნენ მოსულნი და საგამოფენოდ კარგა ხანს უნდა ევარჯიშნათო. ამ ჯიბგირებს შორის ბევრნი არიან თურმე აგრეთვე ქალებიც.

— ინგლისურს ენაზედ ზოლას ნათარგმნ რომანების გამომცემელს, ჭკნარის ბიცეტელლისათვის, ინგლისის სასამართლოს გადაუწყვეტია სამის თვით ციხეში დაპატიმრება ამ «უზნეო თხზულებათა» გავრცელებისათვის.

— დანიის პოლიციას ახირებულ საშუალებისთვის მიუმართავს სიმთვრალის მოსასპობად. პოლიციის აგენტები დადიან თურმე ეტლებით, მთვრალებს ქუჩა-ქუჩა ჰკრეფენ და თავ-თავისს სახლებში მიჰყავთ. რომელიც იმდენად ნასვამია, რომ თავისის სახლის ადრესიც ველარ უთქვამს, ის პოლიციაში მიჰყავთ. სასაცილო ის არის, რომ ნასვამთა თავ-თავის სახლში წასაყვან ხარჯს იმ მედუქნეებს ახდევინებენ, რომელთა დუქანშიაც ის კაცები დამთვრალან.

— ახირებული შურისძიება მოუგონია ერთს ბუენოს-აირესის მცხოვრებელს, თავისის სიდედრით მოთმინებიდგან გამოყვანილს და თავის ოჯახიდგან ექსორია ქმნილს. კაცს არც აქეთ მიუმართავს, არც იქით, მისულა ერთ მეტად გავრცელებულ ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში და განცხადება დაუბეჭდვინებია, რომ ქ-ნს X (სიდედრი) ჰსურს გაჰყიდოს მოშინაურებული ნიანგი, რომელმაც საკვირველი მალაყები იცისო. და აი, დაიბეჭდა თუ არა ეს განცხადება, ქ-ნს X-ს შემოეხვივნენ თურმე, რომ გვაჩვენეთ თქვენი საოცარი ნიანგიო. საბრალო დედაკაცი დიდის გულ-მოდგინებით იგერებდა შემოხვეულს საგანგებო ნივთთა მოყვარეთ, მაგრამ სინსილა გამოეცალა და მოიქანცა თურმე, არ ესმოდა, საიდგან არის ეს ამბავი, რას მემართლებიანო!

— პარიჟის გაზეთები შემდეგს სასაცილო ანეგდოტს მოგვითხრობენ იმ მაჰმადიანთა შესახებ, რომელნიც პარიჟში იმყოფებიან ამ ჟამად. ორს მაჰმადიანს, 14 დღის პარიჟის ყოფნის დროს, ათ-ჯერ შეხვედრიათ საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო. „ლამაზი კაცია ეს ფრანგების ემირიო", უთქვამს ერთს მაჰმადიანს.—„ჰო, ლამაზია, მაგრამ, როგორც ეტყობა, ძალიან მდიდარი-კი არ უნდა იყოს, აგერ რამდენჯერ შევხვდით და სულ ერთსა და იმავე დედაკაცთან დადის. ნუ თუ იმდენი შეძლება არ მოეძებნება, რომ უფრო ბევრი ცოლი იყოლიოსო?"—უპასუხნია მეორეს.

# დეპეშა

7 ივნისი

ვენა. ბირჟა დარწმუნდა ახლა, რომ ამას წინად სრულიად უსაფუძვლოდ იქმნა ატეხილი საპოლიტიკო ფაცა-ფუცი. გაზეთი „Politik-"ი ამბობს, რომ ბერლინელსა და ვენელს ტყუილ ხმების გამავრცელებლებს ომიანობის შესახებ კარგი დარი ვერ უდგებათო. ყველა იმათ ლაპარაკს არსად ნდობით არ ექცევიან და გადაწყვეტით უარ-ჰყოფენო.

### პეტერბურგის ბირჟა, 6 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 90 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 156½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 269½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 243½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

9 დღე პარასკევი. წმ. შორის მამისა კირილესი, ალექსანდრიის ეპისკოპოსისა; დავით გარესჯელისა. კათოლ. ვიკენტისა. სომეხ. მარხვა-ნახატონაქი. მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ზაფხულის დაწყება.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 22 დღისაა.

10 დღე შაბათი. წმ. მღვდელ-მოწამისა ტიმოთესი, კათოლ. მარგარიტასი. სომეხ. წმ. გრიგოლის, სომეხთა განმანათლებელის, ხაროდგან ამოყვანება. მაჰმად. მე-23 რიცხვი თვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 23 დღისაა.

11 დღე კვირა. წმ. მოციქ. ბართლომესი და ბარნაბასი. კათოლ. წმ. იერემიასი. სომეხ. დღესასწ. წმ. ეჩმიაძინისა. მაჰმად. მე-24 რიცხვი თვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 24 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა ონოფრესი და ღირსისა მამისავე პეტრე ათონელისა. კათოლ. წმ. ონოფრესი. მაჰმად. მე-25 რიცხვი თვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 25 დღისაა.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში:

პატარა მოამბე

საყმაწვილო წიგნი, შედ. ალ. მირიანაშვილისა და გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოებისა".

ფასი 10 კაპ.


ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 20 ივნისს ამ 1889 წლისას, დილის 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგურში საჯარო ვაჭრობით გაიცემა იჯარა ქალაქის ქუჩებზედ ასანთებ 1964 ფარნის ნავთით განათებისა ორის წლის ვადით, მომავალ ივლისის თვის 4-დგან. პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეთა გარდა. (3—1)


ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.


ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 25-ს ივლისს ამ 1889 წელს ქალაქს ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგურში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნება ხსენებულს ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები ქვემო აღნიშნულთა პირთა მიცემულის მათდა მოკლე ვადიანის სესხის შემოუტანლობის გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი შეავსებენ თავნს ვალს სარგებლით და განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ყველა ქვემო აღნიშნული გადასახადი უნდა შემოვიდეს ბანკში ნაღდ ფულად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, იმათ შეუძლიანთ გასასყიდელ მამულთა აღწერილობისა და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების მე-24 -ის საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ათს აგვისტოს 1889 წლისას.

ქ. ქუთაისს

ლორთქიფანიძისა, ელისაბედ როსტომის ასულის: მთის ქუჩაზე ორსართულიანი სახლი და მიწა, ზომით 2185 ოთხ-კუთხი საჟენი. თავნი ვალი 1000 მან. შეს. გარ. 66 მან., სულ 1066 მანეთი.

შორაპნის მაზრაში

დ. ყვირილას

ვარდასანიძისა, ნარიმან როსტომის ძის, გადასრული მიხეილ ზურაბის ძეს აბაშიძეზედ: ორ- სართულიან სახლი და მიწა ზომით 132 ოთხ-კუთხი საჟენი. თავნი ვალი 1000 მან. შეს. გადასახადი 129 მან. 54 კაპ., სულ 1129 მან. 54 კაპ.

კანდელაკისა, ანდრონიკე გრიგოლის ძის: ორ-სართულიანი სახლი და მიწა 132 ოთხ-კუთხი საჟენი. თავნი ვალი 1500 მან. შეს. გარ. 174 მან. 61 კაპ., სულ 1674 მან. 61 კაპ.

სოფელს თერჯოლას

წულუკიძისა, ასლან ვახტანგის ძის: სახნავ-სათესი და ტყე 27 დესიატ. 2140 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2500 მან. შეს. გად. 199 მან. 91 კაპ. სულ 2699 მან. 91 კაპ.

ქუთაისის მაზრაში

სოფ. ტყაჩირს

მაჭავარიანისა, აგრაფინა ბეკოს ასულის: სახნავ-სათესი 20 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2000 მან. შეს გადას 170 მან. სულ 2170 მანეთი.

აგ იაშვილისა, კონსტანტინე ბეჟეს ძის: ეზო, ზვარი და სახნავ სათესი 23 დეს. 760 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2000 მან. შეს. გად. 190 მან. 60 კაპ. სულ 2190 მან. 60 კაპ.

სოფ. გორა-ჯიხაშს

ღოღობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 8 დეს. 2257 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1000 მან. შეს. გარდ. 85 დეს. 34 კაპ., სულ 1085 მან. 34 კაპ. (3—2)


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

## ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—22) ა. თუთაევი



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია"

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 » | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 » | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 » | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 » | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 » | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 8-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул. и). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე